ოქმი:**ო12. 3723240001**

თარიღი:**28/08/2023**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2023 წელი, 22აგვისტო
ქ.ოზურგეთი
12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ქ. ხომერიკი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ნადირაშვილი, ნ. ღაჟონია, ნ. სარჯველაძე, დ. მდინარაძე, ე. გორდელაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. მელუა, ს. ქარცივაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მერიის ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური სერვისების განყოფილების მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2023 წლის პირველ ნახევარში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარების პროგრამის შესრულების თაობაზე, ხოლო ვრცლად საკითხზე ისაუბრა და დასმულ შეკითხვებს უპასუხა თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ცნობად მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

გადაწყვიტეს:

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი